# სალომე ზურაბიშვილი საზოგადოებას ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილეს ულოცავს



**საქართველოს პრეზიდენტი საზოგადოებას ქართული პარლამენტარიზმის ასი წლის იუბილეს ულოცავს.**

*„საქართველოს პრეზიდენტის სახელით, ვულოცავთ სრულიად საქართველოს ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს.*

*სალომე ზურაბიშვილის შეფასებით, მართლაც გამორჩეული თარიღია, დიდი ისტორიითა და მნიშვნელოვანი ფაქტორებით მათ შორის, საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა ევროპაში, სადაც ქალები არა მხოლოდ მონაწილეობდნენ 100 წლის წინ არჩევნებში, ისინი მონაწილეობას იღებდნენ პირველი კონსტიტუციის შემუშავებაში და რაც მთავარია, თავად იყვნენ დამფუძნებელი კრების არჩეული წევრები.*

*კიდევ ერთხელ, ამ დარბაზიდან გვინდა დავასახელოთ დამფუძნებელი კრების წევრი ქალების სახელები: მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე, ქრისტინე შარაშიძე, ელისაბედ ბოლქვაძე, ანა სოლოღაშვილი, ელეონორა ტერ ბარსეგოვა-მახვილაძისა.*

*აქვე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ მარიამ ჩხეიძეც, სწორედ ის*

*გახლავთ პირველი ქართველი ქალი, რომელიც პირველი ქართული კონსტიტუციის შემუშავებაში მონაწილეობდა“, — განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა ხატია მოისწრაფიშვილმა.*